

**მდ. ივრის ხეობის გვიანცარცული მაგმური სხეულის ქანების
პეტროლოგიური კვლევის მონაცემები**

ბეჟან თუთბერიძე, კარლო აქიმიძე, მარიამ ახალკაციშვილი, გურამ ქუთელია
bejan.tutberidze@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

მდ. ივრის დინების შუა წელში გამოვლინებული მაგმური სხეული შეჭრილია ზედა-
ცარცული ასაკის ანანურის წყების ფლიშური ნალექებით აგებულ ბოკონის სინკლინის
ფრთებში და ქმნის ორ ურთიერთპარალელურად განლაგებულ დამოუკიდებელ სხეულს.
მაგმური სხეულის ამგები ქანების შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. სხვა-
დასხვა მკვლევარები, სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების საფუძველზე, სხეულის
ამგები ქანების შედგენილობის საკითხთან დაკავშირებით თანამოაზრებია და მათ
ტემენიტებად ან ბიოტიტიან-ოლივინიან-რქატყუარიან-პიროქსენიან ტემენიტებად განიხი-
ლავენ. ჩვენს მიერ ჩატარებული დეტალური მინერალოგიურ-პეტროლოგიური კვლევის
მონაცემების მიხედვით მაგმური სხეულის ამგებ ქანებს შორის ტემენიტები დამორჩი-
ლებული რაოდენობით მონაწილეობს; წამყვანი როლი ეკუთვნით: ტუტე ლამპროფირებს;
კამპტონიტებს, ტერალითებს და ტეფრიტებს;